



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030166592226620

№ 01-285/ო

23 / ივნისი / 2020 წ.

**„ტუბერკულოზის მართვა ბავშვებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული  
რეკომენდაციის (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „ტუბერკულოზის მართვა ბავშვებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტუბერკულოზის მართვა ბავშვებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 მაისის № 01-116/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

ეკატერინე ტიკარაძე